20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს

განკარგულება

2021 წელი 2 აპრილი №7

თბილისი

„კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდობის მხარდაჭერისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ინსტრუმენტების დამატებითი საშუალებების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2020 წლის 7 აპრილის N7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო ადგენს:

მუხლი 1. „კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდობის მხარდაჭერისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ინსტრუმენტების დამატებითი საშუალებების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2020 წლის 7 აპრილის N7 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი მუხლის:

1. **მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

   „ა) სვოპ ოპერაციის გამოყენების პერიოდად განისაზღვროს 2020 წლის 15 აპრილიდან 2022 წლის 15 აპრილის ჩათვლით ამ განკარგულების შესაბამისად განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში.“.

2. **მე-9 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

   „გ) თითოეული სესხის ვადად განისაზღვროს ერთი თვე მისი განახლების უფლებით, ხოლო სესხით სარგებლობის პერიოდად განისაზღვროს 2020 წლის 1

მაისიდან 2022 წლის 1 მაისამდე. სესხის თანხის გაზრდა ან შემცირება ბანკს შეუძლია სესხის გადაგორებისას.“.

მუხლი 2. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარე კობა გვენეტაძე